პანდემიის გავლენა სახელშეკრულებო და შრომით სამართლებრივ ურთიერთობებზე

თინათინ ფერაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ ფერაძე

05.07.2021 წელი

აბსტრაქტი

2020 წელი მსოფლიოსთვის ახალი გამოწვევით დაიწყო. მთელი მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე დადგა შებრძოლებოდა უხილავ მტერს. ბრძოლა ადამიანის სიცოცხლისადა ჯანმრთეობის გადასარჩენად არის უპირველესი. აღნიშნულის გამო ყველა ქვეყანაში გატარდა შესაბამისი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებული შეზღუდვები. გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა, ვირუსის პირველი დაფიქსირებიდან მალევე, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, დაწესდა შეზღუდვები, აიკრძალა გარკვეული ეკონომიკური საქმიანობები და სხვა.

დაწესებული შეზღუდვების სამართლებრივი შედეგები ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი. თუმცა ორი აზრი არ არსებობს, რომ შედეგები ძალიან უარყოფითად აისახა ეკონომიკაზე, აღნიშნული კი აუცილებლად წინ წამოწევს სახელშეკრულებოს და შრომით სამართლებრივ დავებს ამ საფუძვლით. ჯერ არ არსებობს სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები, რომლებიც სხვისთვის გახდება გზამკვლევი, როგორ დაიცვას უფლებები, რა შანსები აქვს მოთხოვნის დაკმაყოფილების და სხვა. მიუხედავად ამისა, არსებობს ვარაუდები და საინტერესოა ამ ვარაუდების სამართლებრივი საფუძვლების წარმოჩენა.

ნაშრომის მიზანიც სწორედ ეს არის, განსაზღვროს სავარაუდო შედეგები, შეაფასოს შრომით სამართლებრივი ურთიერთობის დროს დამსაქმებლის ქცევათა კანონიერება, დაზარალებული მხარის დაცვის საშუალებები და პერსპექტივები. აქედან გამომდინარე საკითხი ნამდვილად აქტუალური და საინტერესოა.

საძიებო სიტყვები: ხელშეკრულება, შეცვლილი გარემოებები, შესრულების შეუძლებლობა, შრომითი ხელშეკრულება, შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობები, დასაქმებულის უფლებები, ხელშეკრულების შეწყვეტა, ანაზღაურების შემცირება, უხელფასო შვებულება.

Abstract

2020 has started with a new challenge for the world. The whole world was faced with a great challenge to fight the invisible enemy. he struggle to save human life and health is paramount. Due to this, the restrictions recommended by the relevant World Health Organization have been implemented in all countries. Georgia was no exception, soon after the first outbreak of the virus, a state of emergency was declared, restrictions were imposed, certain economic activities were banned and more.

The legal consequences of the imposed restrictions have not yet been revealed. However, there are no two opinions that the results have had a very negative impact on the economy, and this will inevitably lead to contract and labor disputes on this basis. There are no precedent court decisions yet that will become a guide for others on how to protect their rights, what their chances of satisfying the claim are, and more. Nevertheless, there are assumptions and it is interesting to present the legal basis of these assumptions.

The aim of the master thesis is To determine the probable consequences, to assess the legality of the employers' behavior during the legal employment relationship, the means and perspectives of the injured party. Therefore the issue is really topical and interesting.

Search Keywords: Contract, changed circumstances, Force Majeure, labor contract, essential terms of the labor contract, Employee rights, termination of contract, reduction of remuneration, unpaid leave.